თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 7 მარტი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი –ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში სოლომ მეორის ქუჩის სავალი ნაწილის ა/ბეტონის საფარით, ტროტუარების და ღვარსადენის სისტემის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (საკონკურსო წინადადების თანხა 13000 (ცამეტი ათასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ (საკონკურსო განცხადების №1142. 07.03.2014).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 3 (სამი) პრეტენდენტმა:

1. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“ – 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი.
2. შ.პ.ს „არქმშენი“ – 8000 (რვა ათასი) ლარი.
3. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ – 5990 (ხუთი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2014 წლის 7 მარტის 12:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „არქმშენი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“-მ მიიღო - 38,3 ქულა.

შ.პ.ს „არქმშენი“-მ მიიღო - 34,5 ქულა.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ მიიღო - 35,6 ქულა.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაზ გაბიძაშვილმა.

კომისიის წევრმა: ანდრო მარჯანიშვილმა და კახაბერ დალაქიშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში სოლომ მეორის ქუჩის სავალი ნაწილის ა/ბეტონის საფარით, ტროტუარების და ღვარსადენის სისტემის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაზ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბასილაძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი